



სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

05/11/2024



MES 2 24 0001422895

ბრძანება


**ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული
მომზადების პროგრამის „ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა“
ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2024 წლის პირველი ნოემბრის N1404620 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა „ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა“ (დანართი).
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა



დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02148	ლიტონდამამუშავე ბელი ჩარხების მართვა	პროფესიული მომზადება	მესამე	15	ქართული	14	თბილისი, გლდანინამალაღევი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10



დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2024 წლის 30 სექტემბრის

ბრძანებით N166



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვა
პროგრამის სახე: <input checked="" type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

□ 2 3 □ 4 □ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 15

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 7

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია ლითონის დამუშავების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადების უზრუნველყოფა. მოკლევადიანი პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ ლითონდამამუშავებელი ჩარხების პროგრამულ მართვას, დეტალების დამუშავებას სახარატო, საფრეზი და სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. საკონსტრუქციო და საიარაღო მასალების დახასიათება;
2. საჭრისების კონსტრუქციის და გეომეტრიის აღწერა;
3. ბურბუშელის წარმოქმნის პროცესის აღწერა;
4. სახარატების ჭრის რეჟიმების შერჩევის მეთოდის აღწერა
5. ბურღვის, ზენკერების, და განშლის პროცესის აღწერა
6. ფრეზის პროცესის და საფრეზი ინსტრუმენტების აღწერა
7. ხრახნწარმოქმნის პროცესის და ხრახნსაჭრელი ინსტრუმენტების აღწერა;
8. კბილწარმოქმნის პროცესის და კბილსაჭრელი ინსტრუმენტების აღწერა;
9. აბრაზიული დამუშავების პროცესის და აბრაზიული ინსტრუმენტების აღწერა;
10. დეტალის დამუშავება უნივერსალურ სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხზე;
11. დეტალის დამუშავება სახარატო-რევილვერულ ჩარხზე;
12. დეტალის დამუშავება ზურგსახარატო ჩარხზე;
13. სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელი ჩარხების ტექნიკური მომსახურება
14. დამზადებული დეტალების სიზუსტისა და ზედაპირების დამუშავების ხარისხის შემოწმება;
15. დეტალების დამუშავება უნივერსალურ საფრეზ ჩარხზე;
16. დეტალის დამუშავება სარანდ ჩარხზე;
17. დეტალის დამუშავება სატეხ ჩარხზე;
18. დეტალების დამუშავება პირგადასადებ-საფრეზ ჩარხზე;

19. დეტალის დამუშავება კბილსაფრეზ ჩარხზე;
20. დეტალის დამუშავება კბილსატეხ ჩარხზე;
21. დეტალის დამუშავება ბრტყლად-სახეხ ჩარხზე;
22. დეტალის დამუშავება მრგვლად-სახეხ ჩარხზე;
23. დეტალის დამუშავება შიგსახეხ ჩარხზე;
24. დეტალის დამუშავება უცენტრო სახეხ ჩარხზე;
25. დეტალის დამუშავება საჰონინგე ჩარხზე;
26. დეტალის დამუშავება სალეს ჩარხზე.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „მეჩარხე“
- მოდულები:
 - ჭრის თეორია და მჭრელი იარაღები;
 - დეტალების დამუშავება სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე;
 - დეტალების დამუშავება საფრეზი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე;
 - დეტალების დამუშავება სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე.

პროგრამის მოკლე აღწერა: ლითონდამამუშავებელი ჩარხების მართვის პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს კადრების მომზადებას დროის მოკლე პერიოდში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შექმნა/გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური მეჩარხის მომზადებისთვის. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 15 კვირა და 300 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსით სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება საბაზო განათლება. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	<ul style="list-style-type: none"> • საკონსტრუქციო მასალები და მათი დამუშავებადობა; • საიარალო მასალები და მათდამი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები; • ნახშირბადოვანი და დაბალლეგირებული საიარალო ფოლადები; • სწრაფმჭრელი ფოლადები; • სალი შენადნობები; • მინერალოკერამიკა და კერამეტიები; • ზესალი საიარალო მასალები; • ელბორის და ალმასის ინსტრუმენტი; • საჭრისების კლასიფიკაცია; • საჭრისის შემადგენელი ნაწილები და მათი დანიშნულება. ალესვის კუთხეები; • საჭრისის კუთხეები გეგმაში (ჩვეულებრივი და ფასონური საჭრისების მაგალითზე); • საჭრისის კუთხეები გადამკვეთ სიბრტყეებში; • მჭრელი წიბოების დახრის კუთხეები λ და λ1; • მუშა კუთხეების ტრანსფორმაცია, მიწოდების დამხმარე მოძრაობის გათვალისწინებით; 	1,2,3	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A;C

	<ul style="list-style-type: none"> • საჭრის დაყენებისგან გამოწვეული, კუთხეების ცვლილება; • ბურბუმელის სახეობები და წარმოქმნის პროცესი, მყიფე და პლასტიკური მასალების დამუშავებისას; • უწყვეტ ბურბუმელასთან ბრძოლის ხერხები; • ბურბუმელის კინემატიკური მსხვრევა. ვიბრაციული და დისკრეტული ჭრისას ბურბუმელის გადაჭრის პირობები. 					
2	<ul style="list-style-type: none"> • სახარატების ჭრის რეჟიმების გაანგარიშების მეთოდოლოგია, ანალიტიკური და ცხრილური მეთოდებით; • სპირალური ბურღის ძირითადი კონსტრუქციული და გეომეტრიული პარამეტრები; • ზენკერების კლასიფიკაცია. დანიშნულება და დამუშავების ხარისხის მიღწევადი მახასიათებლები; • ჭრის ძალები და სიმძლავრე ბურღვისას; • ჭრის ძალები და სიმძლავრე ზენკერებისას და განშლისას; • ფრეზვის სახეობები და დამუშავების სქემების მაგალითები. დამუშავების პარამეტრები ფრეზვისას; • ჭრის სიჩქარე ფრეზვისას; 	4,5,6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A; C

	<ul style="list-style-type: none"> • ჭრის ძალები და სიმძლავრე ფრეზვისას. 					
3	<ul style="list-style-type: none"> • ხრახნკუთხვილის საჭრისით მოჭრის პროფილური და პროფილურ-გენერატორული სქემები; • ხრახნსაჭრელი თავები; • ხრახნკუთხვილის მოჭრა ერთ და მრავალმაფიანი ფრეზებით; • ხრახნკუთხვილის მოჭრა გრიგალური მეთოდით. • კბილების მოჭრა კბილათვლებზე პირგადაღების მეთოდით; • კბილის პროფილის მოჭრა ჭიაფრებით; • ირიბი კბილების მოჭრა ცილინდრულ კბილათვალზე; • ჭრის რეჟიმების ელემენტები ხეხვისას. ჩქაროსნული და ძალური ხეხვა; • გარე ცილინდრული ზედაპირების ხეხვის სახეობები; • შიგა ცილინდრული ზედაპირების ხეხვის სახეობები; • ბრტყელი ზედაპირების ხეხვის სახეობები; • ჭრის ძალები და სიმძლავრე სახეხი ქარგოლებით დამუშავებისას. 	7,8,9	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A; C
4	<ul style="list-style-type: none"> • სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის გაწყობა; • სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; 	10	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	<ul style="list-style-type: none"> • სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის მართვა; • დეტალის დამუშავება სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხზე; • სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხიდან დეტალის მოხსნა; 					
5	<ul style="list-style-type: none"> • სახარატო-რევოლვერულ ჩარხის გაწყობა; • სახარატო-რევოლვერულ ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; • სახარატო-რევოლვერულ ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • სახარატო-რევოლვერული ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება სახარატო-რევოლვერულ ჩარხზე; • სახარატო-რევოლვერული ჩარხის გამორთვა; • ზურგსახარატო ჩარხის გაწყობა; • ზურგსახარატო ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა. 	11,12	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
6	<ul style="list-style-type: none"> • ზურგსახარატო ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება ზურგსახარატო ჩარხზე; • ზურგსახარატო ჩარხის გამორთვა; • ზურგსახარატო ჩარხიდან დეტალის მოხსნა; 	12,13	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	<ul style="list-style-type: none"> სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელი ჩარხების გაუმართაობის სახეები და მათი აღმოჩენის ხერხები; მცირე გაუმართაობების აღმოფხვრა სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებში; 					
7	<ul style="list-style-type: none"> სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელი ჩარხების პირველი დონის ტექნიკურ მომსახურება; საკონტროლო, მზომი იარაღების სახეები და მათი დანიშნულება; დამზადებული დეტალების სიზუსტისა და ზედაპირის დამუშავების ხარისხის შემოწმება . 	13,14	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
8	<ul style="list-style-type: none"> ვერტიკალური და ჰორიზონტალური უნივერსალური საფრეხი ჩარხების გაწყობა; ვერტიკალური და ჰორიზონტალური უნივერსალური საფრეხი ჩარხების გამართულობის უზრუნველყოფა; ვერტიკალური და ჰორიზონტალური უნივერსალური საფრეხი ჩარხების ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); ვერტიკალური და ჰორიზონტალური უნივერსალური საფრეხი ჩარხების მართვა; დეტალების დამუშავება ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ 	15,16	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	<p>უნივერსალურ საფრეზ ჩარხებზე;</p> <ul style="list-style-type: none"> • ვერტიკალური და ჰორიზონტალური უნივერსალური საფრეზი ჩარხების გამორთვა; • ვერტიკალური და ჰორიზონტალური უნივერსალური საფრეზი ჩარხებიდან დეტალის მოხსნა; • მზა დეტალების დასაწყობება; • ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა; • სარანდი ჩარხის გაწყობა. 					
9	<ul style="list-style-type: none"> • სარანდი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; • სარანდი ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • სარანდი ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება სარანდ ჩარხზე; • სარანდი ჩარხის გამორთვა; • სარანდი ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • მზა დეტალების დასაწყობება; • ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა; • სატეხი ჩარხის გაწყობა; • სატეხი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; 	16,17	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
10	<ul style="list-style-type: none"> • სატეხი ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • სატეხი ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება სატეხ ჩარხზე; • სატეხი ჩარხის გამორთვა; • სატეხი ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • მზა დეტალების დასაწყობება; 	17,18	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	<ul style="list-style-type: none"> • ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა. • პირგადასაღებ-საფრეზი ჩარხის გაწყობა; • პირგადასაღებ-საფრეზი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; • პირგადასაღებ-საფრეზი ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • პირგადასაღებ-საფრეზი ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება პირგადასაღებ-საფრეზ ჩარხზე; • პირგადასაღებ-საფრეზი ჩარხის გამორთვა. 					
11	<ul style="list-style-type: none"> • კბილსაფრეზი ჩარხის გაწყობა; • კბილსაფრეზი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; • კბილსაფრეზი ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • კბილსაფრეზი ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება კბილსაფრეზ ჩარხზე; • კბილსაფრეზი ჩარხის გამორთვა; • კბილსატეხი ჩარხის გაწყობა; • კბილსატეხი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; • კბილსატეხი ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • კბილსატეხი ჩარხის მართვა; 	19,20	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
12	<ul style="list-style-type: none"> • ბრტყლად-სახეხი ჩარხის გაწყობა; 	21,22	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	<ul style="list-style-type: none"> • ბრტყლად-სახეხი გამართულობის უზრუნველყოფა; ჩარხის • ბრტყლად-სახეხი ექსპლოატაციაში (გაშვება); ჩარხის მოყვანა • ბრტყლად-სახეხი მართვა; ჩარხის • დეტალების დამუშავება ბრტყლად-სახეხ ჩარხზე; ჩარხის • ბრტყლად-სახეხი გამორთვა; ჩარხის • ბრტყლად-სახეხი ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • მზა დეტალების დასაწყობება; • მრგვლად-სახეხი ჩარხის გაწყობა; • მრგვლად-სახეხი გამართულობის უზრუნველყოფა; ჩარხის 					
13	<ul style="list-style-type: none"> • მრგვლად-სახეხი ექსპლოატაციაში (გაშვება); ჩარხის მოყვანა • მრგვლად-სახეხი მართვა; ჩარხის • დეტალების დამუშავება მრგვლად-სახეხ ჩარხზე; ჩარხის • მრგვლად-სახეხი გამორთვა; ჩარხის • მრგვლად-სახეხი ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • მზა დეტალების დასაწყობება; • შიგსახეხი ჩარხის გაწყობა; • შიგსახეხი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; ჩარხის • შიგსახეხი ექსპლოატაციაში (გაშვება). ჩარხის მოყვანა 	22,23	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

14	<ul style="list-style-type: none"> • შიგსახეხ ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება შიგსახეხ ჩარხზე; • შიგსახეხი ჩარხის გამორთვა; • შიგსახეხი ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • მზა დეტალების დასაწყობება; • უცენტრო სახეხი ჩარხის გაწყობა; • უცენტრო სახეხი ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; • უცენტრო სახეხ ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა; • უცენტრო სახეხ ჩარხის მართვა; • დეტალის დამუშავება უცენტრო სახეხ ჩარხზე. 	23,24	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
15	<ul style="list-style-type: none"> • უცენტრო სახეხი ჩარხის გამორთვა; • უცენტრო სახეხი ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • საჰონინგე ჩარხის გაწყობა; • საჰონინგე ჩარხის გამართულობის უზრუნველყოფა; • საჰონინგე ჩარხის ექსპლოატაციაში მოყვანა (გაშვება); • საჰონინგე ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება საჰონინგე ჩარხზე; • საჰონინგე ჩარხის გამორთვა; • საჰონინგე ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • სალესი ჩარხის გაწყობა; • სალესი ჩარხის გამართულობის შემოწმება; • სალესი ჩარხის ექსპლოატაციაში გაშვება; 	24,25,26	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	<ul style="list-style-type: none"> • სალესი ჩარხის მართვა; • დეტალების დამუშავება სალეს ჩარხზე; • სალესი ჩარხის გამორთვა; • სალესი ჩარხიდან დეტალის მოხსნა; • მზა დეტალების დასაწყობება. 					
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--	--	--	--

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა „მეჩარხე“</p>	
<p>მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი</p>	<p>სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი</p>
<p>ჭრის თეორია და მჭრელი იარაღები - 0731427</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. საკონსტრუქციო და საიარაღო მასალების დახასიათება; 2. საჭრისების კონსტრუქციის და გეომეტრიის აღწერა; 3. ბურბუმელის წარმოქმნის პროცესის აღწერა; 4. სახარატების ჭრის რეჟიმების შერჩევის მეთოდის აღწერა 5. ბურღვის, ზენკერების, და განშლის პროცესის აღწერა 6. ფრეზის პროცესის და საფრეზი ინსტრუმენტების აღწერა 7. ხრახნაწარმოქმნის პროცესის და ხრახნსაჭრელი ინსტრუმენტების აღწერა; 8. კბილწარმოქმნის პროცესის და კბილსაჭრელი ინსტრუმენტების აღწერა; 9. აბრაზიული დამუშავების პროცესის და აბრაზიული ინსტრუმენტების აღწერა;
<p>დეტალების დამუშავება სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე - 0731439</p>	<ol style="list-style-type: none"> 10. დეტალის დამუშავება უნივერსალურ სახარატო-ხრახნსაჭრელ ჩარხზე; 11. დეტალის დამუშავება სახარატო-რეკოლვერულ ჩარხზე; 12. დეტალის დამუშავება ზურგსახარატო ჩარხზე; 13. სახარატო ჯგუფის ლითონდამამუშავებელი ჩარხების ტექნიკური მომსახურება 14. დამზადებული დეტალების სიზუსტისა და ზედაპირების დამუშავების ხარისხის შემოწმება;

<p>დეტალების დამუშავება საფრეზი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე - 0731440</p>	<p>15. დეტალების დამუშავება უნივერსალურ საფრეზ ჩარხზე; 16. დეტალის დამუშავება სარანდ ჩარხზე; 17. დეტალის დამუშავება სატეხ ჩარხზე; 18. დეტალების დამუშავება პირგადასაღებ-საფრეზ ჩარხზე; 19. დეტალის დამუშავება კბილსაფრეზ ჩარხზე; 20. დეტალის დამუშავება კბილსატეხ ჩარხზე;</p>
<p>დეტალების დამუშავება სახეხი ჯგუფის ლითონდამამუშავებელ ჩარხებზე - 0731441</p>	<p>21. დეტალის დამუშავება ბრტყლად-სახეხ ჩარხზე; 22. დეტალის დამუშავება მრგვლად-სახეხ ჩარხზე; 23. დეტალის დამუშავება შიგსახეხ ჩარხზე; 24. დეტალის დამუშავება უცენტრო სახეხ ჩარხზე; 25. დეტალის დამუშავება საჰონინგე ჩარხზე; 26. დეტალის დამუშავება სალეს ჩარხზე.</p>